გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 32

2023 წლის 14 ივლისი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 16/01/2023; 010250050.35.148.016733) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, კაზაბახ – მერიტის სინდრომით არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლს დაემატოს მე-3^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3^1. (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) და (0–დან 18 წლამდე) კაზაბახ-მერიტის სინდრომით დაავადებული ბავშვების სოციალური დახმარება განისაზღვროს ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით“.

გ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლს დაემატოს მე-4^2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4^2. (0-დან 18 წლამდე) იუვენილური რევმატოიდული ართრიტით (M08.0) დაავადებული ბავშვების სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტის 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე“.

დ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5^1 პუნქტი:

„5^1. ამ მუხლის მე- 4^1 და მე-4^2 პუნქტით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ასევე საზღვარგარეთ მისაღები მკურნალობისთვის“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**